„მამას არც ერთს არ ვეძახი“

ახლახან ვაკის ჯერ კიდევ გაუხსნელ, ახალ „სარდაფის თეატრის“ სცენაზე ცნობილი რუსი მსახიობი **მიხეილ კოზაკოვი** *გატაცებით კითხულობდა ქართული და რუსული პოეზიის შედევრებს. 68 წლის მსახიობი კარგად ახსოვს უფროსი თაობის ქართველ მაყურებელს, რომელმაც იმთავითვე შეიყვარა მისი კინოგმირები. 17 წლის იყო მიხეილ კოზაკოვი, პირველ ფილმში „მკვლელობა დანტეს ქუჩაზე“ რომ გადაიღეს, რომელსაც მოჰყვა „ადამიანი-ამფიბია“, „ჩალის ქუდი“ და სხვა მრავალი. სასცენო მოღვაწეობა ახალგაზრდულ თეატრ „სოვრემენიკში“ დაიწყო და ამის შემდეგ რუსეთის ყველა ცნობილ სცენაზე უთამაშია.*

მასთან ექსკლუზიური ინტერვიუს აღება ძლივს მოხერხდა, თბილისში ყოფნის სამი დღის განმავლობაში ბატონი მიხეილი, როგორც თავად გვითხრა, მოსიყვარულე ქართველების „სასიამოვნო ტყვეობაში“ იმყოფებოდა.

— **ბატონო მიხეილ, თქვენ ძვირად ღირებული მსახიობი და რეჟისორი ბრძანდებით. როგორც იტყვიან, საქმიანი კაცისთვის დროის ოქროს ფასი აქვს. ნუთუ სრულიად უსასყიდლოდ ჩამობრძანდით თბილისში?**

— არსებობს რაღაც, რაც მატერიალურზე მაღლა დგას. ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიღვაწოთ რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობებისთვის — ეს ერთი. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი კი, რაც ჩემს აქ უანგარო მიზნით ჩამოსვლას განაპირობებს — სისხლით ნათესაობაა, აქ მყავს ჩემი ქალიშვილი მანანა, შვილიშვილი თინათინი, სიძე ლევან წულაძე. როდესაც მანანამ და ლალიმ (მოროშკინამ) დამირეკეს და მითხრეს, საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაციის პრეზენტაციაზე გეპატიჟებითო, არც დავფიქრებულვარ, ისე ჩავბარგდი და გამოვფრინდი. შურის თვალით მიყურებდნენ, როცა გვერდს მიმშვენებდნენ ერთი მხრიდან ქალბატონი კოზაკოვა, ხოლო მეორედან, მშვენიერი მოროშკინა. ბანკეტის დროს რესტორანში მეზობელ სუფრასთან ბალტიისპირელები ისხდნენ. გადაღების უფლება ითხოვეს — ასეთ მომენტს ვერ გაუშვებთ, ბატონო მიხეილ — თქვენ და ორი მზეთუნახავი, შესანიშნავი სამახსოვრო კადრიაო.

— **თქვენს სიძეზე რას გვეტყვით? ლევან წულაძე თბილისში ერთ-ერთი პოპულარული რეჟისორია.**

— ლევანი დაამშვენებდა მსოფლიოს ნებისმიერ თეატრს. მანანა კი ნებისმიერ სცენას. დიდი ხანია მინდა ლევანის დადგმულ სპექტაკლში ვითამაშო და ალბათ მალე განვახორციელებ ამ იდეას. ჩემი მანანა, საოცრად ქალურია. ლამაზად ჩანს სცენაზე. მინდა მათ მოსკოვშიც იმუშაონ, მაგრამ ლევანი საოცარი პატრიოტია...

ბატონ მიხეილთან ინტერვიუს შემდეგ **მანანა კოზაკოვას** *ვთხოვე გაგვიხსენებინა თავისი ბავშვობა და მოეთხრო მამასთან ურთიერთობებზე.*

— მამას დედაჩემი, მედეა ბერელაშვილი, დეიდის, მაია ქავთარაძის სახლში გაუცნია. გასტროლებზე ჩამოსული მიხეილ კოზაკოვი, თურმე ხშირად დადიოდა ამ ოჯახში ქართველ მეგობრებთან — გურამ საღარაძესთან, ბადრი კობახიძესთან და სხვებთან ერთად. გაცნობიდან ერთ თვეში დაქორწინებულან მამა და მედეა. მამა ამბობს, როგორც გრიბოედოვს ნინო, ისე შემიყვარდა მედეაო. მათი ერთად ცხოვრების პერიოდი არ მახსოვს, იმდენად მალე დასცილდნენ ერთმანეთს, მაგრამ დედაჩემის დამსახურებაა, რომ მამასთან ასეთი კარგი ურთიერთობა მაქვს.

— **როგორ შემოვიდა შენს ცხოვრებაში მამა, რომელი ასაკიდან გახსოვს?**

— კი არ შემოვიდა, შემოიჭრა პუშკინის ლექსით „ზალატოი პეტუშოკ“. თავიდან ბოლომდე წამიკითხა. მე კი ძალიან ვნერვიულობდი და ერთი სული მქონდა, როდის დამსვამდა კარუსელზე ვაკის პარკში. მაშინ, 5-6 წლის ვიყავი.

— **როგორც ვიცი, ბევრი და-ძმა გყავს. როგორი ურთიერთობა გაქვს მათთან.**

— მამაჩემის მხრიდან ორი ძმა და ორი და მყავს. დედის მხრიდან კი, ერთი და — ნინო ჩიჩუა, რომელიც დედას მეორე ქმართან, არაჩვეულებრივ ადამიანთან, ანატოლი ჩიჩუასთან შეეძინა. მამას ახლა მეოთხე ცოლი ჰყავს. მასთან ორი პატარა შვილი ჰყავს. უმცროსი, ზოია მესამე ცოლს მოანათვლინა. ასეთი უცნაური კაცია მამა. მის იუბილეზე, უფროსი, ანუ პირველი ცოლი დაგვტრიალებდა თავს ყველა ჩვენგანს და სათითაოდ გვიშვებდა სცენაზე. ბანკეტზე კი მეოთხე ცოლმა პირველი ცოლის სადღეგრძელო წარმოთქვა — თქვენ, ყველა ჩვენთაგანის დედა ხართო. დედაჩემი მიშას მეორე ცოლი იყო.

— **მამის პროფესიას მარტო შენ გაჰყევი?**

— არა, ჩემი ძმა კირილიც მსახიობია. „გრაფინია დე მონსორო“ გადაიღეს რუსებმა, ჩვენს ეკრანებზეც გადიოდა. ჩემი ძმა იქ ჰენრი მეოთხის როლს ასრულებს. კირილი ძალიან ჰგავს მამას და ძალიან სიმპათიურია.

— **მამას ვის ეძახი, მიხეილ კოზაკოვს თუ ანატოლი ჩიჩუას?**

— მამობა ანატოლი ჩიჩუამ გამიწია და მას უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ მამას არც ერთს არ ვეძახი. მეშინია, რომელიმე მათგანს გული არ დავწყვიტო.

— **შენი პროფესიის არჩევანში მამას მიუძღვის წვლილი?**

— ალბათ მამის გენს. მეც ადრეულ ასაკში ვთამაშობდი „სპექტაკლობანას“, რაღაცებს ვთხზავდი, ვდგამდი და ვმსახიობობდი. რადგან მამა მსახიობი მყავდა, ყველა მეკითხებოდა, შენც მსახიობობა ხომ არ გინდაო? აღმოჩნდა, რომ მინდოდა. დედის წინააღმდეგობის მიუხედავად, მსახიობი გავხდი და ძალიანაც მომწონს ჩემი არჩევანი. დედას ეშინოდა, მსახიობის ცხოვრებას ძლიერი ხასიათი სჭირდება და შენ ეს გაგიჭირდებაო.

— **მამის რომელიმე განსაკუთრებულ თვისებაზე ხომ არ გაამახვილებ ყურადღებას?**

— მამა ძალიან დაბნეული და არაპრაქტიკული ადამიანია. მოსკოვში ჩავედი ერთხელ, ვთხოვე, კარგ „სასტუმროში მომაწყვე-მეთქი. კომუნისტების პერიოდში ეს პრობლემა იყო ჩვეულებრივ მოკვდავთათვის. დუშანბელების საერთო საცხოვრებელში მიმიყვანა და ისე გაუკვირდა ჩემი უკმაყოფილება, რომ ვერ გადმოგცემთ. დუშანბელურ ლუქსზე ვფიქრობდი და იქ მიმიყვანა, სადაც საერთო აბაზანა და ტუალეტია. თანაც დასძინა — ასე ძალიან რომანტიკულად გაატარებ დროსო. მამაჩემის უსაყვარლესი საქმიანობა ლექსების კითხვაა, დღისით თუ ღამით, სადაც არ უნდა იყოს, სულ მზადაა ამისათვის. ახლაც დილით, უთენია დარეკა მოსკოვში. ახლობელს დაურეკა, დამხვდი აეროპორტშიო. ახლობელმა ვერ იცნო. აპარატმა ხმა შეუცვალა. მამა გაგიჟდა — ლექსები ხომ არ წაგიკითხო, რომ დამიჯეროო? იმანაც უთხრა — მხოლოდ ეს დამარწმუნებს, რომ ნამდვილად მიშა ხარო. მამაც იდგა სააბაზანოში, ხელში ტელეფონის აპარატი ეჭირა და ხმამაღლა კითხულობდა პუშკინის ლექსებს.

მამა აპირებს მალე ჩამოვიდეს, ჩამოიყვანოს მსახიობები, ვინც დათანხმდება მინიმალურ ფასად და, სპექტაკლი ან კონცერტი გამართოს. საუბარი ეხება ელიტურ მსახიობებსა და მომღერლებს.

დიდი ხანია მამა ლევანთან ერთად მუშაობასაც გეგმავს, მაგრამ ლევანი ჯერ პატარა „სარდაფის თეატრზე“ ზრუნვას გადაჰყვა. ახლა ვაკის თეატრზე ზრუნავს. ამიტომაც მიშა კოზაკოვის და ლევან წულაძის საქმიანი დუეტი ჯერაც ვერ შედგა. ძალიან მინდა, რომ ეს მოხდეს.

ეკა ლომიძე

ორშაბათი 15 ივლისი

[illegible]

სამშაბათი 16 ივლისი

[illegible]

ოთხშაბათი 17 ივლისი

[illegible]

ხუთშაბათი 18 ივლისი

[illegible]

პარასკევი 19 ივლისი

[illegible]

შაბათი 20 ივლისი

[illegible]

კვირა 21 ივლისი

[illegible]

იხსენებს „ლორთქია“

არსებობს ფილმები, რომლებიც ისე გიზიდავს, ისე გიყვარს, არც მოგბეზრდება. ასეთი კინოსურათი ცოტაა, მაგრამ, არის... ერთ-ერთი — „არაჩვეულებრივი გამოფენაა“.

როგორ იპოვა ელდარმა პიპინია და აგული

— უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის შემდეგ ორწლიანი სარეჟისორო კურსები დავამთავრე. ელდართან ჩამოვედი, როგორც რეჟისორ-სტაჟიორი. პრაქტიკა უნდა გამევლო, უნდა მემუშავა მეორე რეჟისორად და მხოლოდ ამის შემდეგ მომცემდნენ დიპლომს... ფოტოში ვართ. მიდის პერსონაჟების შერჩევა, ვიღებთ სინჯებს... მრავალი პიპინია გავსინჯეთ... არ მოგვწონს... მაინც ვეძებთ... ვიღაცამ გვითხრა, — ჩვენს თეატრში ერთი მოყვარული მსახიობი იყო, დასავლეთ ევროპის ენების ფაკულტეტი აქვს დამთავრებული და ახლა სოფელ აცანაში გერმანულს ასწავლის ბავშვებს — ნახეთ, იქნებ გამოგადგეთო... წავედით... დაუმთავრებელ აგურის სახლში ცხოვრობს ვასილ ჩხაიძე, სოფლის განაპირას რომ დგასო, — მიგვასწავლეს... პირველი მე შევედი და ყვირილი დავიწყე... ვიწრო ფიცარზე იდგა, აჩეჩილი თმით, პირში წყალი ჰქონდა ჩაგუბებული და ხმაურით ასხამდა დასაუთოებელ შარვალს. გაშრნენ გადამღები ჯგუფის წევრები — ნამდვილი პიპინია იყო... იმ დღესვე წამოვიყვანეთ თბილისში... არაჩვეულებრივი ხმა ჰქონდა, მაგრამ ტექნიკურად არ გამოსდიოდა გახმოვანება — ამიტომ მის მოქმედებას ეროსიმ დაადო ხმა...

ბატონმა ვასილ ჩხაიძემ გაიარა რეპეტიციები, მაგრამ... არ მოსწონს ელდარს... ძალიან ღელავდა და არაფერი გამოსდიოდა... პარალელურად ვეძებდნენ აგულისაც. მე მაშინ, როგორც მეორე რეჟისორს, მევალებოდა მსახიობების გამონახვა და შემოწმება — იცოდნენ თუ არა ტექსტი. ერთ მშვენიერ დღეს ძველი სტუდიის ეზოში მოვდივართ მე და ბატონი ვასო და მამაშვილურად ვსაუბრობთ. ვაწყნარებ, ვეუბნები — ყველაფერი კარგად იქნება, თქვენ ელდარს მოსწონხართ, აგიყვანთ... იქვე იდგნენ ელდარი, ლანა ღოღობერიძე, მერაბ კოკოჩაშვილი და ლეილა გორდელაძე და რაღაცაზე საუბრობდნენ. ჩავუარეთ გვერდით. თვალი გამოგვაყოლეს. უცებ, ელდარი დაგვეწია და გვითხრა — ასე განაგრძეთ გზა და პავილიონში შედითო, შემდეგ მე მომიბრუნდა — პარტნიორობა გაუწიეო. ტექსტი ზეპირად ვიცოდი და არ გამჭირვებია. გადაიღო სინჯები, აჩვენა სამხატვრო საბჭოს და ყველამ ერთხმად აღიარა — ეს არის პიპინია და ეს არის აგულიო... როცა გავიგე, რომ აგული მე უნდა მეთამაშა, სწორედ მაშინ გავფუჭდი და ნერვიულობისაგან მუხლები მომეკვეთა... ნუ გეშინია, ელდარს ძალიან მოსწონხარ და აგიყვანსო — მაწყნარებდა შემდეგ ბატონი ვასო...

ორივე გლაშა არაჩვეულებრივი ცოლი იყო

ჩვენ ორი გლაშა გვყავდა — პირველი ელდარმა მოიწვია. არაჩვეულებრივი მსახიობი ქალი — გალინა პოლსკიხი. თითქმის ნახევარი ფილმი გადაღებული გვქონდა, რომ პირადი პრობლემების გამო დაგვტოვა და წავიდა. შემდეგ, როდესაც ფილმი ნახა, გულწრფელად იტირა; — რა სისულელე გავაკეთეო.

აი, იმ კადრში, პიპინია და გლაშა რომ მიდიან ქოლგით, მხოლოდ ზურგები რომ ჩანს, გალინა პოლსკიხი დატოვა ელდარმა. მასში მე ნამდვილად შეყვარებული ვიყავი. ის — არა... გული დამწყდა, რომ წავიდა...

შემდეგ ჩამოვიდა ვალენტინა ტელეჩკინა. ეს ქალი ВГИК-ში სოფლიდან ფანერის ჩემოდნით ჩამოსულა, რაღაც წაუკითხავს და გერასიმოვს ისე მოსწონებია, მაშინვე ჩაურიცხავს... ელდარმა პირველი გადაღება მაინცდამაინც კოცნის სცენით დაიწყო. მუხლები მეკვეთება... ვხედავ, ისიც განიცდის... მომიბრუნდა და მეუბნება — როგორც მსუბუქი ყოფაქცევის ქალს, ისე არ მაკოცო, როგორც დას — ისე მაკოცეო... მე ვუთხარი, რომელი დონჟუანი მნახე, ვერ ხედავ, ნერვიულობისაგან შენზე მეტად ვკანკალებ-მეთქი... შემდეგ ბევრს ვიცინოდით ამაზე... ძალიან დავმეგობრდით, არაჩვეულებრივად თბილი და კეთილი ადამიანია. წლების შემდეგ თბილისში იყო ჩამოსული. სამწუხაროდ, ვერ ვნახე. გაუგია გულის ოპერაცია რომ გავიკეთე და ბევრი უტირია...

ორივე „კარგი ცოლი“ მყავდა — გალიაც და ვალიაც...

ეკა მახარაშვილი

ავიაკომპანია „საქავიასერვისი“
გთავაზობთ შემდეგ რეისებს:
თბილისი-ლარნაკა (კვიპროსი)-თბილისი.
გაფრენა სამშაბათობით —10.00 სთ
თბილისი-მინერალური წყლები-თბილისი.
გაფრენა ხუთშაბათობით —10.00 სთ
აგრეთვე გთავაზობთ
რუსეთის
ვიზების
გაფორმებას
რუსთაველის №17
ტელ:
99-02-37
98-37-10